



კვირის მიმოხილვა


კვირის მიმოხილვა | საქართველო
4 თებერვალი, 2019

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის დეკემბერში რეალური მშპ 5.6%-ით გაიზარდა და 2018 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ-ს ზრდამ 4.8% შეადგინა. ჯამურად, 2018 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით გაიზარდა. 2018 წლის დეკემბერში რეალური ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით. ამასთან, კლება დაფიქსირდა ელექტროენერჯის და წყლის წარმოება-განაწილების, ტრანსპორტისა და საფინანსო საქმიანობის დარგებში. რეალური მშპ-ს ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარში დადგა ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე. 2018 წლის რეალური მშპ-ს კვარტალური ზრდის მონაცემები დაზუსტდება 2019 წლის მარტში.

მონეტარული პოლიტიკა: 2019 წლის 30 იანვარს, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით 6.75%-მდე შეამცირა, შემცირებული ინფლაციური წნეხის გამო. სებ-მა აღნიშნა, რომ წლიური ინფლაცია 2018 წლის განმავლობაში მიზნობრივ 3%-თან ახლოს იყო, ხოლო დეკემბერში 1.5% შეადგინა. ცენტრალური ბანკის პროგნოზით ინფლაცია 3%-იანი მიზნობრივი მაჩვენებლის ირგვლივ იმოძრაებს 2019 წლის განმავლობაში. სებ-ის მიმდინარე პროგნოზი წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომ შემცირებას ითვალისწინებს, თუმცა იგი დამოკიდებულია მოთხოვნის გააქტიურებაზე და საგარეო სექტორიდან გამომდინარე რისკებზე. კომიტეტის შემდგომი სხდომა 2019 წლის 13 მარტს გაიმართება.

წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სებ

ეკონომიკური ინდიკატორები


	2018	2017	2016
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	2.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	11,600 ⁽²⁾	10,742	10,065
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,363 ⁽²⁾	4,047	3,857
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	6.7%	1.8%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.0	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.5% ⁽¹⁾	8.8%	13.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3% ⁽²⁾	2.9%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	44.8% ⁽²⁾	44.8%	44.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, G&T

1) 2018 წლის პირველი ცხრა თვის მდგომარეობით

2) წინასწარი შეფასება

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2018-19

- ბიზნესის კუთების სიმარტივე №6 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დასატურბული მაისი-2018	 Ba2 სტაბილური დასატურბული სექტემბერი-2018	 BB- პოზიტიური დასატურბული აგვისტო-2018
--	---	--


წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 29 იანვარს 5-წლიანი 30 მლნ ლარის (11.29 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.540% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 5 თებერვალს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას





ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 6.3%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 98.9 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ევროობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 99.5 (-1.0% წინა კვირასთან შედარებით) და 10.6%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციები GEOCAP-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 91.1 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 8.3%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.2 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 5.7%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 105.7 ფასად (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.9%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.9 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 4.0%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: ბლუმბერგი

წყარო: ბლუმბერგი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები								
გამომწვები	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps	
Georgia	500	6.875%	04/12/2021	BB-/BB-/Ba2	105.9	4.00	136.08	
GRAIL 07/22	500	7.750%	07/11/2022	B+/B+/-	105.7	5.87	327.53	
GEOROG 04/21	250	6.750%	04/26/2021	BB-/B+/-	102.17	5.69	305.09	
GEBGG 06/20	500*	11.000%	06/01/2020	BB-/B/Ba2	99.5	10.56	n/a	
GEBGG 07/23	350	6.000%	07/26/2023	BB-/B/Ba2	98.88	6.29	369.84	
GEOCAP 03/24	300	6.125%	03/09/2024	-/B+/B2	91.10	8.30	570.29	
ადგილობრივი ობლიგაციები								
GWP 12/21	30*	10.50%**	06/12/2021	BB-****/-/-	n/a	n/a	n/a	
M2RE 10/19	25	7.500%	07/10/2019	-/-/-	100.97	6.00	n/a	
GLC 08/20	10	7.000%	29/08/2020	-/-/-	100.00	7.00	n/a	
GLC 06/21	5	6.500%	22/06/2021	-/-/-	98.92	7.00	n/a	
Nikora 06/19	10	9.000%	28/06/2019	-/-/-	n/a	n/a	n/a	
Silknet 08/22	34*	10.50%**	18/08/2022	B+****/-/-	n/a	n/a	n/a	
Crystal 12/19	10*	11.50%***	28/12/2019	B/-/-	100.84	11.00	n/a	

წყარო: ბლუმბერგი

*GEBGG 06/20, GWP 12/21, Silknet 08/22 და Crystal 12/19 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 3.5%)

*** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 4.5%)

**** კომპანიის რეიტინგი

ადმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	105.9	4.0	136.1
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba2	101.9	4.3	174.1
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/-/-	112.6	-0.1	n/a
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB+/BB/Ba2	110.6	0.6	65.8
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	106.2	3.4	71.9
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	108.3	3.8	118.0
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BBB-/Ba1	102.2	3.2	49.4
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/-/Ba2	101.1	5.1	243.8

Source: Bloomberg



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.94 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.14% წინა კვირასთან შედარებით და +15.73% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 289 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.25 – 16.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 73 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 11.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.99% წინა კვირასთან შედარებით და +7.72% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 84 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.80 – 11.13 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 14.52 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.49% წინა კვირასთან შედარებით და -4.60% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 90 ათასს გადააჭარბა, GBP 14.26 – 14.92 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 21 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.28 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში -2.56% წინა კვირასთან შედარებით და +11.76% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 27 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.26 – 2.43 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 84 ათასი აქცია შეადგინა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-ცვლ.	წ/წ ცვლ.	
Bank of Georgia	BGEO	15.94*	1,026	15.7%	0.1%	-11.5%	15.7%	-36.5%
TBC	TBC	14.52*	1,031	-4.6%	-13.9%	-18.2%	-4.6%	-10.5%
Halyk Bank	HSBK	10.85	3,188	4.8%	-5.2%	-5.7%	4.8%	-13.9%
VTB Bank	VTBR	1.30	8,405	17.1%	2.5%	-18.2%	17.1%	-32.3%
Vozrozhdenie	VZRZ	6.83	162	-0.4%	-2.5%	18.5%	-0.4%	-22.0%
Sberbank	SBER	13.50	72,856	23.2%	14.8%	-2.3%	23.2%	-33.0%

წყარო: ბლუმბერგი

*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-ცვლ.	წ/წ ცვლ.	
Georgia Capital	CGEO	11.00*	549	7.7%	-7.9%	10.1%	7.7%	n/a
Creades	CREDA	30.67	251	9.6%	1.0%	0.9%	9.6%	-29.8%
CIE du Bois	COMB	447.64	754	3.7%	5.2%	-3.4%	3.7%	-4.6%
Tinc Comm	TINC	13.66	373	1.1%	-1.9%	-4.0%	1.1%	-13.5%
Edify	EDIFY	58.54	284	-3.6%	-7.6%	-17.1%	-3.6%	-22.5%

წყარო: ბლუმბერგი

*CGEO აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG	GHG	2.28*	393	11.8%	-0.9%	-13.0%	11.8%	-32.9%
Mouwasat	MOUWASAT	20.13	2,013	-5.5%	0.7%	-16.3%	-6.2%	-13.7%
Fortis	FORH	1.89	1,429	-5.7%	-1.7%	-11.4%	-6.1%	-8.7%
Raffles	RFMD	0.82	1,478	1.9%	7.8%	2.8%	1.9%	-2.1%
IHH	IHH	1.37	11,989	4.9%	14.3%	2.7%	4.9%	-11.3%
Bangkok Chain	BCH	0.52	1,292	1.0%	-12.1%	3.5%	1.0%	-4.0%
Netcare	NTC	1.86	2,740	1.3%	7.5%	-10.8%	1.3%	-14.7%

წყარო: ბლუმბერგი

*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი


საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუბოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge